# სანუკვარ ზუთეულში!

**ფრუნზე, 24 დეკემბერი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გუშინწინ შედგა დასკვნითი, XV ტური.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები ლ. ბელავენეცი (მოსკოვი) — ნ. გურიელი, თ. ვორონოვა (ნაბერეჟნიე ჩელნი) — ნ. იოსელიანი, ლ. სემიონოვა (კიევი) — ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), მ. რანიკუ (ტალინი) — ტ. ჩეხოვა (მოსკოვი), ტ. ფომინა (ტალინი) — ტ. მოროზოვა (ოდესა) და ლ. ლისენკო (კიევი) — ლ. ზაიცევა (მოსკოვი). ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) მოუგო თ. ხუგაშვილს. მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) — ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი).

ამრიგად, ტურნირი ასე დამთავრდა: I. **ნ. გურიელი** — 11 ქულა, II. **მ. ლიტინსკაია** — 10,5, III-IV. **ტ. ზატულოვსკაია, მ. რანიკუ** — 10, V. **ნ. იოსელიანი** — 9,5, VI. **ტ. ფომინა** — 8,5, VII-VIII. **ლ. ზაიცევა, ნ. ტიტორენკო** — 8-8, IX. თ. ვორონოვა — 7,5, X. **ტ. ჩეხოვა** — 7, XI-XII. **თ. ხუგაშვილი, ლ. სემიონოვა** — 6-6, XIII-XIV. **ლ. საუნინა, ლ. ბელავენეცი** — 5-5, XV-XVI. **ტ. მოროზოვა, ლ. ლისენკო** — 4-4.

საზონათაშორისო ტურნირში, რომელიც გაისად ზაფხულში ბრაზილიაში უნდა გაიმართოს, თამაშის საგზურები მოიპოვეს **გურიელმა, ლიტინსკაიამ, ზატულოვსკაიამ, რანიკუმ და იოსელიანმა.**

* * *

ამრიგად ჩვენმა ნიჭიერმა ახალგაზრდა ოსტატებმა ნინო გურიელმა და ნანა იოსელიანმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს.

ნ. გურიელმა ალმავლობით განვლო მთელი ტურნირი, თუმცა შეჯიბრება დამარცხებით (ფომინასთან) დაიწყო. შემდეგ მან 8 პარტია მოიგო, მათ შორის სძლია ლიტინსკაიას. ნინო თავიდანვე ჯიქურ მიიწევდა წინ — ჯერ. კვალში მიჰყვებოდა რანიკუს, მერე გაასწრო კიდეც.

ნ. იოსელიანმაც წაგებით (გურიელთან) აიღო სტარტი. მერე ზატულოვსკაიასთანაც დამარცხდა. 6 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 2,5 ქულა ჰქონდა. მაგრამ ნანამ, როგორც სჩვევია, ძალ-ღონე მოიკრიბა და „კოსმოსური“ სისწრაფით გაქანდა ფინიშისკენ. მომდევნო 9 ტურში მან 7 ქულა მოაგროვა (5 მოგება, 4 ყაიმი).

ახლა ქალთა მსოფლიო პირველობის 1978-1981 წლების ციკლში ოთხი ქართველი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. **ნ. ალექსანდრია, ნ. გურიელი** და **ნ. იოსელიანი** საზონათაშორისო ტურნირში (1979 წ.) ითამაშებენ, ხოლო **ნ. გაფრინდაშვილი** ბრძოლაში პრეტენდენტთა მატჩებიდან (1980 წ.) ჩაებმება.

ეს ყოველივე ქართული ჭადრაკის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა.

## ნინო გურიელისა და ნანა იოსელიანის დიდი გამარჯვება



ნინო გურიელი



ნანა იოსელიანი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 252 (6307)

1978 წ. 26 დეკემბერი შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

### თექვსმეტი ტურის შემდეგ

# დაძაბული ფინიში

XV ტურისთვის ბაქოდან ტელევიზიის მუშაკები ჩამოვიდნენ ძირითადად არა „პატარა“ კასპაროვის, არამედ „დიდი“ ბაგიროვის გადასაღებად — მან ჩემპიონატის წინ მიიღო დიდოსტატის წოდება. ამ დღეს აზერბაიჯანის პირველი დიდოსტატის მეტოქე თ. გიორგაძე იყო.

თბილისელმა მოჭადრაკემ პირველად ამ ტურნირში თამაში ლაზიერის პაიკით დაიწყო. „ალიოხინის დაცვისა შემეშინდა“, — მითხრა შემდეგ ბაგიროვმა.

ამასობაში დაძაბული თამაში გაჩაღდა ა. ბელიავსკი — მ. ტალის შეხვედრაში. ამ პარტიის შედეგზე ბევრი იყო დამოკიდებული — მოგების შემთხვევაში ბელიავსკი გიორგაძეს დაეწეოდა.

მეტოქეებმა ლაზიერის პაიკთა დებიუტის კლასიკური ვარიანტი გაითამაშეს. ბელიავსკი კარგად მოემზადა იერიშისთვის. მე-14 სვლაზე მან ტალს დიდი გართულებები შესთავაზა. რიგელი დიდოსტატი აჰყვა ახალგაზრდა პარტნიორს და მეტად რისკიანად ითამაშა. ბელიავსკის სწორი გაგრძელება რომ მოენახა, ტალი წაგებას ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ ბელიავსკი იერიშის მცდარ გზას დაადგა და ტალი მარჯვე კონტრთამაშით ინიციატივას დაეუფლა. ცაიტნოტში იგი ძლიერად თამაშობდა და მეტოქეს იერიშის უვნებელყოფის მცირეოდენი შანსიც არ დაუტოვა. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

დაუმთავრებელი დარჩა გ. კუზმინ — ლ. პოლუგაევსკის შეხვედრაც, რომელშიც პოლუგაევსკის მცირე უპირატესობა აქვს.

საინტერესო იყო ბ. გულკო — ვ. ცეშკოვსკის შეხვედრა. ცეშკოვსკისთვის ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი მუდამ ძალიან უხერხული მეტოქე იყო. მანამდე მათი შეხვედრების ანგარიშია 7:1 გულკოს სასარგებლოდ. ამჯერადაც ბრ გაუმართლა ცეშკოვსკის — რამდენადმე უკეთეს პოზიციაში იგი უხეშად შეცდა, წააგო ხარისხი და პარტია. ეს იყო ცეშკოვსკის პირველი მარცხი ტურნირში და ალბად სწორედ იგი შეუშლის ხელს ბრძოლაში ჩემპიონის მედლისთვის.

ორმხრივ ცაიტნოტში ვ. ტუკმაკოვმა მოუგო ა. მიხალჩიშინს. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები ჰ. კასპაროვი — ო. რომანიშინი, ი. რაზუვაევი — ე. გელერი, თ. გიორგაძე — ვ. ბაგიროვი, გ. ტიმოშჩენკო — ს. მაკარიჩევი და ი. დორფმანი — ე. სვეშნიკოვი.

ბოლოსწინა, XVI ტურში კასპაროვმა ცეშკოვსკის სიურპრიზი მოუმზადა. კარო-კანის დაცვის ცნობილ ვარიანტში პარტია თითქოს გაკვალული გზით მიდიოდა, მაგრამ უცებ, მე-15 სვლაზე ჭაბუკმა ოსტატმა ეფექტური სიახლე გამოიყენა. ცეშკოვსკი დიდი ხნით ჩაფიქრდა, ცდილობდა ღრმად ჩაწვდომოდა უცნობ პოზიციას. ყველა მოუთმენლად ელოდა მის პასუხს. და აი, დიდოსტატმა მიაგნო სწორ გაგრძელებას — პაიკის შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა. შემდგომ ზუსტი თამაშით პარტია ხელსაყრელ დაბოლოებაში გადაიყვანა და, კასპაროვს თავგამოდებული დაცვის მიუხედავად, მაინც დააყრევინა ფარხმალი. საინტერესო პარტიით კმაყოფილმა მაყურებლებმა ორივე მეტოქე ტაშით დააჯილდოვეს.

ყაიმზე შეთანხმდნენ მაკარიჩევი და გიორგაძე. ამ შედეგს გიორგაძესთვის „ოქროს“ ფასი ჰქონდა — მან გაინაღდა გაისად სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. ეს დებიუტანტისთვის დიდი გამარჯვებაა.

დაზავდნენ, აგრეთვე, ტალი — გულკო, გელერი — ბელიავსკი, სვეშნიკოვი — მიხალჩიშინი და პოლუგაევსკი — ტიმოშჩენკო.

სამი პარტია — რომანიშინი — დორფმანი, ბაგიროვი — რაზუვაევი და ტუკმაკოვი — კუზმინი გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ვ. ცეშკოვსკის 10 ქულა აქვს, მ. ტალს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, თ. გიორგაძეს — 9, ლ. პოლუგაევსკის, ა. ბელიავსკის — 8,5-8,5 (1-1), ე. გელერს — 8,5, ო. რომანიშინს — 8 (1).

დღეს, გაიმართება დასკვნითი, XVII ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან: კასპაროვი — ტალი, დორფმანი — ცეშკოვსკი, გიორგაძე — პოლუგაევსკი, ბელიავსკი — ბაგიროვი, გულკო — გელერი, სვეშნიკოვი — რომანიშინი, კუზმინი — მიხალჩიშინი, ტიმოშჩენკო — ტუკმაკოვი და რაზუვაევი — მაკარიჩევი.

**ვ. მიკენასი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

* * *

**სურათზე: მაყურებელთა დარბაზში დიდოსტატები: ჭადრაკის — მაია ჩიბურდანიძე, ა. გიპსლისი (შუაში) და ფეხბურთის — მ. მაჩაიძე.**

ო. ქიქავას ფოტო.



## ფარიკაობა

**ვილნიუსში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართა დაშნით მოფარიკავეთა ტურნირი. წარმატებას მიაღწია 25 წლის კიეველმა ალექსანდრე ბიკოვმა. მან ყველა ფინალური ორთაბრძოლა მოიგო და პირველად დაეუფლა საპატიო ჯილდოს. მეორე ადგილზე მინსკელი ვლადიმერ რასილკო გავიდა, ხოლო მესამეზე — მოსკოველი ვალერი ხანდოგი.

## კალათბურთი

**ტალინში** დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. შეჯიბრების ბოლო დღეს თბილისის „დინამო“ დამარცხდა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონ ცსკა-სთან — 60:97. დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) — „სტროიტელი“ (კიევი) 75:105, ვეფი (რიგა) — „კალევი“ (ტალინი) 104:89.

ამ ტურში ხუთივე მატჩი მოიგო ცსკა-მ, 4-4 გამარჯვება აქვთ მოსკოვის „დინამოსა“ და ვილნიუსის „სტატიბას“, 3-3 თბილისის „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელს“, 2-2 რიგის ვეფს, ტალინის „კალევს“, ლენინგრადის „სპარტაკს“, მინსკის რტი-სა და კიევის ასკ-ს, 1 — კაუნასის „ჟალგირისს“. ხუთივე მატჩი წააგო ვლადივოსტოკის „სპარტაკმა“.

ახლა უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდი შეიკრიბება რიგაში, სადაც 4 იანვარს გააგრძელებს შეჯიბრებას.

### მორიგი ტურის წინ

**სვერდლოვსკსა და დნეპროპეტროვსკში** დამთავრდა ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური.

სვერდლოვსკში შეჯიბრების ლიდერებმა, რიგის ტტტ-ს კალათბურთელებმა მოუგეს მოსკოვის „დინამოს“ — 71:63. ეს მათი მეხუთე გამარჯვებაა. მოსკოვის არმიელებისა და კიევის „დინამოს“ შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა — 83:76. მოედნის მასპინძლებმა — „ურალმაშის“ სპორტსმენებმა დამატებით დროში მოუგეს ალმა-ათის „უნივერსიტეტს“ — 102:99.

დნეპროპეტროვსკში აგრეთვე დაუმარცხებლად ჩაატარა ტური მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“, რომელმაც ბოლო დღეს მოუგო ვილნიუსის „კიბირკშტისს“ — 99:87, ლენინგრადის „სპარტაკმა“ დაამარცხა თანაქალაქელი „ბურევესტნიკი“ — 90:61, ხოლო ნოვოსიბირსკის „დინამომ“ — დნეპროპეტროვსკის „სტალი“ 74:56.

# „ნედელიას“ საპატიო კვარცხლბეკი

გაზეთ „იზვესტიის“ საკვირაო გამოშვებამ — ყოველკვირეულმა „ნედელიამ“ ჩაატარა ტრადიციული სახალხო კონკურსი „საპატიო კვარცხლბეკი“, რისთვისაც თხოვა მკითხველებს პასუხი გაეცათ ხუთ კითხვაზე.

**1. დაასახელეთ ათი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენი წლის შედეგების მიხედვით.**

**2. ვინ დაამყარა „წლის რეკორდი“?**

**3. ვისი დებიუტი დაგამახსოვრდათ დიდ სპორტში (ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატები) ყველაზე მეტად?**

**4. სპორტული წლის მთავარი სიურპრიზი.**

**5. წლის ყველაზე მომხიბვლელი. ქალი და ვაჟი სპორტსმენი.**

სპორტული წლის გმირების განსაზღვრაში მონაწილეობდნენ ქვეყნის 286 ქალაქისა და დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლები, რომლებმაც რედაქციაში 1.756 წერილი გამოგზავნეს. ვინ აიყვანეს კვარცხლბეკზე „ნედელიას“ მკითხველებმა?

**1. 1978 წლის საუკეთესო სპორტსმენად მკითხველებმა ერთსულოვნად დაასახელეს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი. წლის შედეგებით საუკეთესო ათეულში შევიდნენ აგრეთვე:**

ვილგელმინა ბარდაუსკენე (მძლეოსნობა).

ვლადიმერ იაშჩენკო (მძლეოსნობა).

ნიკოლოზ ანდრიანოვი (სპორტული ტანვარჯიში).

ელენე მუხინა (სპორტული ტანვარჯიში).

მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი).

ნატალია ლინიჩუკი და გენადი კარპონოსოვი (ფიგურული სრიალი).

ვლადიმერ სალნიკოვი (ცურვა).

ბორის მიხაილოვი (ჰოკეი).

იური ვარდანიანი (ძალოსნობა).

**2. „წლის რეკორდი“ ეკუთვნის ვილგელმინა ბარდაუსკენეს (სიგრძეზე ხტომა — 7 მეტრი და 9 სანტიმეტრი).**

**3. სპორტის მოყვარულებს ყველაზე ძალიან დაამახსოვრდათ ელენე მუხინას დებიუტი სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში.**

**4. სპორტული წლის მთავარი სიურპრიზის ავტორია მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 17 წლისა.**

**5. ყველაზე მომხიბვლელ სპორტსმენებად მკითხველებმა დაასახელეს გალიმა შუგუროვა და ვლადიმერ იაშჩენკო.**

# ყურადღება: მოზარდი!

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჭაბუკი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდებოდა. ოთხიოდე თვის წინ სკოლაში ჩვეულებრივ მოსწავლედ ითვლებოდა, საზოგადოებრივ დავალებებსაც ასრულებდა. პატარების ქომაგს, მოხუცების დახმარებას ვერავინ მოასწრებდა. ახლა კი საბრალდებო სკამზე ზის...

...პროცესი დამთავრდა; დანაშაული დადასტურდა. ბრალდებულსაც არაფერი დაუმალავს, გულწრფელად აღიარა დანაშაული და ყველას იმედი მიეცა, რომ ბიჭი მთლად ხელიდან წასული არ იყო და მისი გამოსწორება შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად სხვებისთვის მიყენებული ზარალისთვის საზოგადოებას დროებით უნდა ჩამოშორებოდა, სასჯელი მოეხადა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებოდა გამრჯე, პატიოსანი, ქვეყნისთვის სასარგებლო ადამიანების წრეს.

სასამართლო პროცესზე დამსწრეთ ასეთი დასკვნა გამოიტანეს: მშობლების მიერ განებივრებული, სკოლის, ამხანაგების კონტროლს მოკლებული, უნებისყოფო, ქუჩის მოყვარული ყმაწვილი მალე მოექცა ცუდ წრეში. არავის აინტერესებდა სკოლის მერე რით ცხოვრობდა, ვისთან მეგობრობდა, თავისუფალ დროს როგორ ატარებდა. დილიდან საღამომდე სამსახურში მყოფი მშობლები კი იმით კმაყოფილდებოდნენ ბიჭის დღიურში ცუდ ნიშნებს რომ ვერ ხედავდნენ, ზოგჯერ შინ თუ გვიან მოვიდოდა, არც ჰკითხავდნენ სად იყო, მერე მის დაგვიანებას ყველა შეეჩვია და..

ოლონდ ამ ენერგიის ხარჯვა მიზანსწრაფულად და სასარგებლოდ უნდა წარვმართოთ, პირველ რიგში სპორტში ვარჯიშით. თანაც არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მოზარდს გართობა-დასვენების, მუსიკის მოსასმენი, თავის ფიქრებთან დარჩენის დროც დავუტოვოთ.

ვხვდებით ბავშვების ისეთ კატეგორიასაც, რომელსაც თანამედროვე სასკოლო პროგრამის დაძლევა აშკარად უჭირთ, თანდათან ჩამორჩებიან, სწავლაზე გული უცრუვდებათ და ხსნას ქუჩაში ეძებენ. ვხვდებით ისეთებსაც, რომლებსაც „საგმირო საქმეებისკენ“ მიუწევთ გული, ის კი არ უწყიან, რომ ეს „საქმენი საგმირონი“ ჯერ ხულიგნობაში გადადის, მერე ქურდობაში და ა. შ. უმეტესად ისინი ანგარიშს ვერ უწევენ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ ამ მოქმედებას. ბევრმა იცის, რომ მცდარი გზით მიდის, მაგრამ შეჩერება არ შეუძლია — მას ამის უნარი არ შესწევს, დამხმარე კი რომელიც ამ მომენტში შეაჩერებს, არსად არის, რადგან ბევრი ამას „თავის საქმედ“ არ თვლის.

აი, სწორედ აქ უნდა თქვან თავიანთი სიტყვა ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა, ვინაიდან მოზარდები (მოზარდებს ყველაზე მეტად მათი სჯერათ) ხშირად ცდილობენ მათ მაგალითს მიბაძონ, მაგალითის ძალა კი საყოველთაოდ აღიარებული ფაქტორია...

# ყველამ ერთად — საერთო საქმეს!

## თბილისის სპორტკომიტეტის, სპორტსმენებისა და ფიზკულტურული მუშაკების კარგი ინიციატივა

● ● ●

**სამწუხაროდ**, ჩვენი დედაქალაქის სინამდვილეში ისეთი მაგალითი გამონაკლისი როდია — ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით არასრულწლოვანთა დანაშაულის ფაქტებს, ამიტომაც ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები მწვავედ დგას დღის წესრიგში. ამ პრობლემათაგან ერთ-ერთი მთავარია ახალგაზრდობის აღზრდაში ფორმალიზმის აღმოფხვრა, მისი საბოლოოდ განდევნა ჩვენი სკოლების, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

სწორედ ამან განაპირობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილების — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ფორმალიზმის შემთხვევებისა და მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ მიღება.

ოჯახს, სკოლას ძნელადაღსაზრდელთა სწორ გზაზე დაყენებაში მილიციის გარდა აუცილებლად გვერდში უნდა ამოუდგნენ სხვა ორგანიზაციები — ყველა ვისაც ეს ევალება.

ცხადია, საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამები რთულია და მათი დაძლევა მოზარდისგან თითქმის მთელი დღის ინტენსიურ შრომას მოითხოვს, ბავშვების შესაძლებლობათა და მისწრაფებათა გათვალისწინებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება მოზარდს ბავშვობა დავუკარგოთ და მხოლოდ სწავლით შემოვფარგლოთ. მას აუცილებლად უნდა რჩებოდეს გაკვეთილების მომზადების შემდეგ თავისუფალი დრო მოზღვავებული ენერგიის დასახარჯად.

პედაგოგები ცუდად ასრულებენ მოვალეობას, იშვიათად დადიან სკოლებში, არ ინტერესდებიან მოზარდთა ბედით. იგივე ითქმის დედაქალაქის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შექმნილ 69 საყრდენი პუნქტის პედაგოგ-ორგანიზატორებზე, რომლებიც არ ცდილობენ თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბონ აქტივი, მოზარდებთან გაშალონ სათანადო საქმიანობა და ამით ისინი ქუჩას, ცუდ წრეს ჩამოაშორონ.

აქტივზე სიტყვებით გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან გამოჩენილი სპორტსმენების, სპორტის მუშაკების ახლო ურთიერთობის უდიდეს მნიშვნელობას. მაგრამ ეს მუშაობა ერთი და ორი შეხვედრით კი არ უნდა ამოიწუროს, არამედ ამ კავშირის განმტკიცებით, სისტემატური დამრიგებლობით.

სამწუხაროდ, ხშირად კრების, ხალხის წინაშე ვკისრულობთ ვალდებულებას, ხოლო მათი განაღდებისთვის თავს აღარ ვიწუხებთ, ამიტომაც ძნელადაღსაზრდელი, საკუთარი თავის ამარა რჩება და იძულებულია ისევ „ძმაკაცებს“, ქუჩას, ცუდ წრეს დაუბრუნდეს.

დედაქალაქში სხვადასხვა ტიპისა და ზომის ათასამდე სპორტული ბაზა გაგვაჩნია. მარტო საცხოვრებელი ადგილების მიხედვით 300 ბაზაა მოწყობილი, მაგრამ არცერთ მათგანზე ორგანიზებული არ არის მოზარდებთან მუშაობა. სკოლებში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე მოზარდთა ფიზაღზრდის საქმე. მოსწავლეები მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივის ჩაბარებასაც კი ვერ ახერხებენ.

თბილისში 2000-ზე მეტი სპორტის სპეციალისტია, 16 ოლიმპიური ჩემპიონი, ასობით სპორტის დამსახურებული ოსტატი და გაცილებით მეტი სპორტის ოსტატი. ეს დიდი ძალაა ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის გასაშლელად, ფიზკულტურასა და სპორტში მათ მისაზიდად. ამით ორ სასიკეთო საქმეს გავაკეთებდით — მოზარდებს ქუჩას ჩამოვაშორებდით და მათ ჯანმრთელობასაც გავაკაჟებდით.

● ● ●

**ამ საკითხებზე** იყო ლაპარაკი თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში თბილისის მოწინავე სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა, ქალაქის პროკურატურის, სახალხო სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამმართველოს და საზოგადოების აქტივის კრებაზე, რომელიც თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით ჩატარდა.

კრება გახსნა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ხიზანიშვილმა**. სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **ჯ. მიქელაძე**, ქალაქის პროკურორი **ვ. რაზმაძე**, აკადემიკოსი **ვ. ოკუჯავა**, ქალაქის განათლების განყოფილების გამგე **ლ. ჩიქვანაია**, სპორტის დამსახურებული ოსტატები **ბ. პაიჭაძე** და **ო. ქორქია**, პოეტი **ჯ. ჩარკვიანი** და თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **გ. ყირმელაშვილი**.

ისინი სინანულით ლაპარაკობდნენ არასრულწლოვანთა, ძნელადაღსაზრდელთა დამნაშავეობის გამომწვევ მიზეზებზე, ამ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გზებსა და მეთოდებზე.

ითქვა, რომ ასეთ მოზარდებთან მილიციის ორგანოების მუშაობისას ნაკლებია პედაგოგების, მწვრთნელების მხარდაჭერა. ისინი ახლა იშვიათად არიან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და ბავშვებიც მოკლებული არიან მათ კონტროლს.

ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან საშეფო მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ბევრგან ეს შეფობა ფორმალური ხასიათისაა.

არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ბავშვთა ოთახების ინსპექტორები ცუდად ასრულებენ...

გ. ყირმელაშვილმა აქტივს გააცნო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელების ლ. მოსეშვილისა და ა. სხიერელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორქიას, „ბურევესტნიკის“ კალათბურთელების, ხელბურთელების, სპორტის სასახლის დირექციის, თბილისის განათლების განყოფილების, მძლეოსნობის სპორტსკოლის დირექტორის მ. ტუღუშის, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორის ნ. ლობჟანიძის, „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორის ბ. პაიჭაძისა და სხვათა გადაწყვეტილება, იმუშაონ ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან.

აქტივმა მოუწოდა ყველა სპორტსმენს, ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, სპორტსკოლებს, სპორტული ბაზების, სპორტსაზოგადოებების, ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, მასწავლებლებს, ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ახალგაზრდობის მომავალზე, თავის მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ მოვალეობად ჩათვალოს ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემების გადაწყვეტისთვის ზრუნვა.

საცხოვრებელ ადგილებში, სპორტულ ბაზებზე უნდა შემოვიკრიბოთ მოზარდები, დავაინტერესოთ ფიზკულტურითა და სპორტით, ჩავაბათ სექციებში და ამით ჩამოვაშოროთ დამღუპველ გარემოს — ქუჩას!

ყოველი სპორტსმენი, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკი ბავშვთა მეგობარი და ქომაგი უნდა გახდეს.

**ო. გელაშვილი.**

● ● ●

**რედაქციისაგან:** **თბილისის სპორტკომიტეტის, სპორტსმენების, ფიზკულტურული მუშაკების ჯგუფის ინიციატივას — შეფობა და ზრუნვა არ მოაკლონ ძნელადაღსაზრდელ ბავშვებს, იმედია მხარს დაუჭერენ თბილისის (და არა მარტო თბილისის) სხვა ცნობილი სპორტსმენები, მწვრთნელები, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები.**

**სიტყვა თქვენზეა, მეგობრებო!**

სპორტულ ბაზებს — მზრუნველი ხელი

●

# მოუმზადებლად შეხვდნენ ზამთრის სეზონს რუსთავში

საქართველოს და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადებისთვის მზადების პროცესში ზამთრის სეზონისთვის ბაზების მზადყოფნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ნაკრები გუნდები სწორედ დარბაზებში აგრძელებენ წვრთნას. ამ მხრივ რუსთავში მდგომარეობა სამწუხაროდ სანუგეშო როდია.

მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზს კარგა ხანია არემონტებს „საქსპორტმშენის“ სამმართველოს ბრიგადა, რომელმაც მართალია საქმის ერთი ნაწილი გააკეთა (მთლიანად გამოიცვალა გათბობის სისტემა, შეიმინა ფანჯრები), მაგრამ გასახდელები და შხაპები კვლავ მოუწყობელია, მაშასადამე, ბაზა სეზონს მზად ვერ შეხვდა.

ქალაქს ერთადერთი დახურული აუზი აქვს — „თოლია“, მაგრამ აქ ცურვაში ვერავინ ვარჯიშობს, რადგან ცივა. ბაზის დირექტორმა მ. პაპუნაშვილმა განმარტა, რომ აბაზანისა და დარბაზის გათბობა არ ხერხდება, ვინაიდან თბოელექტროცენტრალიდან ორთქლი ამ ბაზამდე ვერ აღწევს...

...რუსთავის ყოფილი № 18 საშუალო სკოლის ძველი შენობის ნაწილი დაინგრა. დარჩენილ ნაწილში სპორტთამაშებისა და კომპლექსური სკოლებია. ამ ნაწილის კაპიტალური რემონტი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რუსთავის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ვ. გოგიჩაიშვილი) უნდა ჩაეტარებია, მასვე ევალებოდა სპორტული სკოლის რეკონსტრუქცია, რის შემდეგ ამ დაწესებულებას საჭიდაო, მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის დარბაზები, 50-მეტრიანი ტირი უნდა შემატებოდა. საამისო პროექტების შესადგენად საკმაო თანხა დაიხარჯა, მაგრამ მშენებლებს არც კაპიტალური რემონტი დაუწყიათ და არც რეკონსტრუქცია... სპორტსკოლის ველობოქსსა და საჭადრაკო ოთახებში ისე ცივა, გაჩერება ჭირს. აქაური საჭიდაო „დარბაზი“ ვერავითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. უკეთეს მდგომარეობაში არც მოკრივეები არიან — ისინი მუშა-ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლას არიან შეკედლებული, სადაც ჭერი ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია, კედლები დახეთქილი, იატაკი უვარგისი, გასახდელებსა და საშხაპეებზე ლაპარაკი ზედმეტია.

წლეულს მეტალურგთა ქალაქში მწყობრში ჩადგა № 4 საშუალო სკოლის შენობა, რომელსაც დარბაზიც აქვს, მაგრამ იატაკი ისე უხარისხოდაა მოწყობილი, რომ ტრავმების შიშით ვარჯიშების სრული დატვირთვით ჩატარებას ვერავინ ბედავს.

და კიდევ ერთი ობიექტის შესახებ: მძლეოსნებისათვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით რუსთავის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭომ დაადგინა ყოფილი ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის კორპუსი გადაცემოდა სპორტსმენებს მანეჟის მოსაწყობად. თუმცა ქარხანა კარგა ხანია ახალ ბინაში გადავიდა, სამანეჟო ფართის განთავისუფლებას არც ფიქრობენ...

კარს გვადგას ახალი, 1979 წელი, დგება დიდი სპორტული ღონისძიებების პერიოდი. პირველ რიგში ესაა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის, ჩვენი სპორტული მიღწევების დათვალიერების წელი. ვფიქრობთ, ამან სერიოზულად უნდა ჩააფიქროს ყველა ის, ვისაც ევალება სათანადო პირობები შეუქმნას ჩვენს სპორტსმენებს და მათ შორის რუსთაველებს ნაყოფიერი ვარჯიშისა და წვრთნისთვის.

● ● ●

**სურათებზე: ფრენბურთელები ვარჯიშობენ „ფოლადის“ დარბაზში; ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის „საწყობი“, რომელიც კარგა ხანია მძლეოსნებს ეკუთვნით.**

**რ. გაბრიჭიძის** ტექსტი და ფოტოები.





## ჯანმრთელობა საჯაროთით

### ზესტაფონი

რაიონის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გუნდები მონაწილეობდნენ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე ფეხბურთში.

წარმატება წილად ხვდა როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდს (მწვრთნელი ჯ. მესხიშვილი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები.

● ● ●

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: საექსპლოატაციოდ გადაეცა 50-მეტრიანი ტირი, რომელიც აქაური ფიზკულტურელების ტყვიის სროლაში დაოსტატების კერად გადაიქცევა. ბაზას პირველი სტუმრები უკვე ეწვივნენ—გაიმართა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები.

**ა. განუგრაავა.**

## ასპარეზზე მოსწავლეები

**თბილისის** სპორტნაგებობათა სამმართველოს საჭიდაო დარბაზში დამთავრდა დედაქალაქის მოსწავლეთა პირველობა სამბოში.

ასპარეზობაში 100-მდე ნორჩი ფალავანი ჩაება. ბევრმა მათგანმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მ. მოდებაძემ (60 კგ), ზ. გობოზოვმა (65) და ჯ. ტატუაშვილმა (70), რომლებმაც ყველა ორთაბრძოლა დიდი უპირატესობით მოიგეს. მათ გარდა თბილისის ჩემპიონები გახდნენ ვ. ბექაური (45), დ. ბასილაშვილი (48), ა. კუდინოვი (52), ზ. მერაბიშვილი (56), ნ. ედიშერაშვილი (75), გ. შეროზია (81) და მ. ლატარია (მძიმე).

**ბ. თათეიშვილი.**



# ქართული სპორტის ბარაქიანი რთველი

ბიბლიოთეკა

სპორტს ხშირად ადარებენ ცხოვრებას, ყოველდღიურ ცხოვრებას და სავსებით სამართლიანადაც. მე ვიტყოდი, რომ სპორტსმენი ჩვეულებრივ „მოკვდავთაგან" განსხვავებით ორი ცხოვრებით ცხოვრობს, რადგანაც სპორტული კარიერა თავადაა მინიატურაში მოქცეული ცხოვრების სურათი. ოღონდ ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განსხვავებით აქ ელვის სისწრაფით ჩაივლის ყრმობის, სიჭაბუკის, ხანდაზმულობის ასაკი. შესაძლებლობების, ნიჭის, უნარის, ოსტატობის გამოსავლინებლად სპორტი თავის მიმდევრებს შედარებით ნაკლებ დროს მიუზღავს. მაგრამ სპორტშიცაა გამონაკლისი, როცა ასაკობრივი ზღვარი თითქოს პირობით ცნებად იქცევა. როგორც წესი, ხანიერია და დღეგრძელი დიდი სპორტსმენების კარიერა. ეს იმიტომაც ხდება, რომ დიდი სპორტსმენის უშრეტი ენთუზიაზმი მუდამ გონიერებასთანაა გაჯერებული. იგი რომელიღაც მეშვიდე გრძნობით, ინტუიციით განსაზღვრავს თავის სპორტულ გზას, არ ჩქარობს, უფრო სწორად, არ ფუსფუსებს, რადგანაც დარწმუნებულია საკუთარ თავში. ყოველივე ამას ახლავს უნაპირო, ჭეშმარიტად დაუჯერებელი შრომისმოყვარეობა, ურომლისოდაც ვერ შეიქმნება დიდი სპორტსმენის სრულფასოვანი სახე. უშრომლად, უოფლოდ მხოლოდ მეტეორებივით გადაიქროლებენ სპორტულ კაბადონზე ნიჭიერი, მაგრამ უნებისყოფო სპორტსმენები და მალევე ქრებიან, რათა სინანულის გრძნობა დაუტოვონ თავიანთ თაყვანისმცემლებს.

დიდი სპორტსმენი... ასეთი ფენომენები ნიადაგ სჭირდება ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ისინი ჰგვანან წინამძღოლებს, რომლებსაც მიჰყვება მათი მაგალითით შთაგონებული მრავალათასიანი ათლეტთა არმია. საბედნიეროდ, წლევანდელმა სეზონმა კვლავ დაადასტურა ჩვენი სპორტის ლიდერების გაუნელებელი ენთუზიაზმი და, რაც მთავარია, მსოფლიო კლასი. მათი რიგები გამრავლდა, გაჩნდნენ ახალი სახელები, ახალი ფავორიტები და გზისმკვლევნი. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ქართული სპორტის უპირველესი რაინდების დღეგრძელობას და ამოუწურავ რეზერვებზეც მეტყველებს.

რა თქმა უნდა, მაია ჩიბურდანიძე... მე თითქოს პასუხი გავეცი კითხვას, ვინ უნდა ჩაითვალოს წლევანდელი სეზონის ყველაზე გამორჩეულ ფიგურად. არ დარჩენილა დედამიწის ზურგზე ადამიანი, ვისაც აღტაცებით არ წარმოეთქვას მსოფლიოს ახალი ჩემპიონის სახელი, ახლა ცდილობენ პრეცედენტი დაუძებნონ მაია ჩიბურდანიძის ტრიუმფალურ მიღწევას და მაშინ, ჩვენ ისევ და ისევ ვიგონებთ ნონა გაფრინდაშვილის ფენომენალურ საჭადრაკო ბიოგრაფიას. ორი ქართველი მოჭადრაკე ჩვენდა საზიქადულოდ ამ სეზონში ფლობს აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდს: მაია ჩიბურდანიძე პირველი მოჭადრაკეა, რომელმაც 17 წლისამ დაიდგა დედოფლის ჯიღა, ხოლო ნონა გაფრინდაშვილს ეკუთვნის სენსაციური, ჯერ არნახული მიღწევა — იგი პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელსაც ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. როგორც ერთი, ასევე მეორე შესანიშნავი გამარჯვება სამუდამოდ ჩაიწერება მსოფლიო სპორტის სიმბოლურ „ოქროს წიგნში". ბედნიერებაა, იყო ამ მოჭადრაკეების თანამედროვე, რომელიც მომდევნო თაობებს გადასცემს ჭადრაკის მატიანის ამ წარმტაც ლეგენდას. ამ ლეგენდას დაამშვენებს ამბავი სამი ქართველი ასულის ტრიუმფალური გამოსვლისა ბუენოს-აირესში, სადაც მაიამ, ნონამ და ნანამ თავიანთ „თანამესანგრე" ელენე ახმილოვსკაიასთან ერთად მსოფლიო ოლიმპიადაზე დაამტკიცეს, რამდენად ძლევამოსილია საბჭოთა საჭადრაკო სკოლა.

და ყოველივე ეს ერთ სეზონში, წლევანდელ წელს! ჭეშმარიტად ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა არ იციან, რა არის დაღლა, რა არის წინაღობა.

იყო ამ სეზონში ერთი სპორტსმენი, რომელმაც სტატისტიკოსებს მართლაც „დავთრები" აურია და ჩვენი ყველაზე თამამი და სანუკვარი ოცნებები ცხადად აქცია. სტატისტიკოსებს იმიტომ ვახსენებ, რომ მძლეოსნობის „ხილი" ჩვენში რატომღაც გვიან მწიფდება. საიდა გუნბა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო აღმოჩენაა. ჯერ კიდევ გუშინ იგი საშუალო მონაცემების მძლეოსნად ითვლებოდა, რომლის სპორტული გზაც რესპუბლიკის მძლეოსნობის მონოტონურ მდინარებაში მიკარგულიყო. მით უფრო სასიხარულოა, რომ ნამდვილმა ნიჭმა გაიკვალა კალაპოტი და აფხაზმა ქალიშვილმა ქვეყნის უპირველესი შუბის მტყორცნელის სახელი დაიმკვიდრა. საიდას საჩემპიონო აღზევება მოხდა თბილისში, საკავშირო ჩემპიონატის დღეებში, და ჩვენი მაყურებელი აღტაცებით მიესალმა მის ბრწყინვალე გამარჯვებას.

დიდი სპორტსმენი... სხვა სახელს ვერ მოუძებნით ჩვენს გამორჩენილ ამორძალს ქეთევან ლოსაბერიძეს. სწორედ წლევანდელი სეზონი გახდა მისთვის ყველაზე საუკეთესო საბჭოთა კავშირის უძლიერესი მშვილდოსნის სპორტულ ბიოგრაფიაში. ნათქვამია: მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო. მაგრამ ქეთევან ლოსაბერიძე კვლავ დაუბრუნდა სპორტის სარბიელს და მერე როგორ! მას დანებდა მსოფლიო რეკორდები, იგი გახდა ევროპის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და კვლავ აალაპარაკა მშვილდოსანთა სამყარო.

დღეგრძელი ვიქტორ სანეევი, უბერებელი სანეევი, განუმეორებელი სანეევი... ამ სიტყვებს ამოიკითხავთ საკავშირო და მსოფლიო სპორტულ პრესაში. ყველაზე დიდ მძლეოსანს, როგორც ვიქტორს უწ-

## 2. თვალ-მარგალიტის მაძიებელნი

ნამედროვე, რომელიც მომდევნო თაობებს გადასცემს ჭადრაკის მატიანის ამ წარმტაც ლეგენდას. ამ ლეგენდას დაამშვენებს ამბავი სამი ქართველი ასულის ტრიუმფალური გამოსვლისა ბუენოს-აირესში, სადაც მაიამ, ნონამ და ნანამ თავიანთ „თანამესანგრე" ელენე ახმილოვსკაიასთან ერთად მსოფლიო ოლიმპიადაზე დაამტკიცეს, რამდენად ძლევამოსილია საბჭოთა საჭადრაკო სკოლა.

ოდებენ ხოლმე, ყველაზე მძიმე სპორტული ხვედრიც ერგო. ვერ ასწრებს ერთი ტრავმის მოშუშებას, რომ კვლავ იძულებით ეთიშება მძლეოსნურ ბილიკს. წლები კი გარბის, ერთმანეთს ენაცვლება უმაღლესი დონის შეჯიბრებები და სანეევი კვლავ პირველია, კვლავ მიუღწეველია ახალგაზრდა მეტოქეებისათვის. დიდი ხანია მაინტერესებს, როგორ ახერხებს იგი ნიადაგ პირველთა შორის იყოს. აი ერთი საგულისხმო დეტალი, რომელიც რამდენადმე წარმოგიჩენთ სანეევის „საიდუმლოს". მისი სავარჯიშო სარბიელი ძირითადად „ლოკომოტივის" სტადიონი გახლავთ. ამას წინათ დავაპირე ვიქტორის ნახვა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეწუხდა ეს ზედმიწევნით თავაზიანი სპორტსმენი. „ოღონდ, სტადიონზე არა, იქ თქვენც მოცდებით და მეც, საუბარი კი ვერ შედგება".

მე მაინც მივედი სტადიონზე და მალულად ვუყურებდი ვიქტორის ვარჯიშს. ეს იყო არა მარტო ვარჯიში, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედის „წვისა და დაგვის" პროცესი. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი პაუზა... ყველაფერი ემორჩილებოდა რკინისებური რეჟიმით შედგენილ სავარჯიშო გრაფიკს, რომლის დევიზია „მოსკოვი-80". და მე ჩემთვის პატარა აღმოჩენა გავაკეთე: რომ დიდი სპორტსმენის თვით წვრთნის პროცესის ყურებაც ერთი სიამოვნებაა, რომ უდიდესი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი ძერწავს ფანტასტიკურ გამარჯვებებს.

სანეევი კვლავ პირველი იყო საკავშირო ჩემპიონატში, მაგრამ ეს წარმატება იმდენად ჩვეულებრივია, რომ ჩვენ იგი დიდი ზარ-ზეიმით არც მიგვიღია. მაგრამ გაითვალისწინეთ ახლად ჭრილობამოშუშებული ათლეტის პირველი გამოსვლების სიმძიმე, გაითვალისწინეთ ისიც, რომ სანეევი თითქმის არასდროს „იხსნება" მსოფლიო ოლიმპიადების წინ და თქვენთვის ნათელი გახდება: სანეევი კვლავ იბრძოლებს თავისი მეოთხე ოლიმპიური მედლისათვის.

ჩვენი ჩემპიონები ტრადიციის მიხედვით, მუდამ სიურპრიზებს გვთავაზობენ, მიუხედავად იმისა, პირველ ადგილზე გამოდიან თუ არა. თედიაშვილი ამის საუკეთესო მაგალითი გახლავთ. მას ბევრი რეკორდი ეკუთვნის საჭიდაო სამყაროში და ამ მიღწევებს წლეულს კიდევ ერთი მიუმატა. აღარაფერს ვამბობთ ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალზე, ასეთი გამარჯვება თედიაშვილისგან აღარავის აკვირვებს. მაგრამ მისმა გამოსვლამ მაინც გაგვაცვიფრა და აი, რატომ. შვიდი წლის წინათ ლევანმა 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. მას შემდეგ იგი ოთხჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ერთხელ, ეს იყო ირანში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, მან გაიმარჯვა ერთდროულად თავისუფალი სტილით ჭიდაობასა და სამბოში. ასეთი რამ არ ახსოვს ჭიდაობის ისტორიას. და აი, წელს ლევან თედიაშვილმა ძალა მოსინჯა მძიმე წონაში (100 კგ), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალოსანი გახდა. სად გინახავთ ფალავანი, რომელსაც თავისი კარიერა 82 კილოგრამიდან დაეწყოს და მერე 100-კილოგრამიან გიგანტთა შორის გამოსულიყოს? არც ასეთი ფაქტის მოწმენი ვყოფილვართ. და მაინც, მიუხედავად ჩვენი აღტაცებისა, არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ გულშემატკივართა საერთო სურვილი: ალბათ, უმჯობესია მსოფლიო ოლიმპიადის წინ ჩვენი შესანიშნავი ფალავანი ერთ რომელიმე წონით კატეგორიაზე შეჩერდეს და ერთგვარად სარისკო ექსპერიმენტები მისი დამთავრებიათვის შემოინახოს. მით უმეტეს, რომ ლევანს ქართველი სპორტსმენებიდან პირველს შეუძლია მეექვსედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ბოლოს და ბოლოს „გამოიღვიძეს" კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა. მათ თავიანთი რიგებიდან წარმოაჩინეს, ევროპულ და მსოფლიო ჩემპიონატებში „ელჩად" მიავლინეს ვახტანგ ბლაგიძე, მოჭიდავე, რომელმაც არ იცის, რა არის შიში აღიარებული ავტორიტეტების წინაშე. საკავშირო პრესა გულთბილად გამოეხმაურა ბლაგიძის ტრიუმფალურ გამოსვლებს და განსაკუთრებით აღნიშნავდა მის რკინისებურ ნებისყოფას, ურთულესი საჭიდაო სიტუაციებიდან „მშრალად" თავის დაღწევის უნარს, საუკეთესო ტექნიკას. ახალგაზრდა ფალავანს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ სათავეში ჩაუდგეს კლასიკური სტილით მოჭიდავეებს, გახდეს მათი ლიდერი და უმაღლესი დონის შეჯიბრებებისკენ პირადი მაგალითით გაიყოლიოს პატივმოყვარე ნიჭიერ მოჭიდავეთა ახალი ტალღა. ამ აზრით იგი ლეგენდარული რომან რურუას ღირსეული მემკვიდრეა.

რა დასამალია, რამდენიმე წლის წინათ კრივზე წერას ვერიდებოდით. დაუსრულებელ კრიტიკას შესაძლოა საწინააღმდეგო შედეგი გამოეღო და კრივის პოპულარიზაციაზე უარყოფითად ემოქმედა. მაგრამ გამოჩნდა დავით კვაჭაძე და ყინული დაიძრა. მოულოდნელად კრივის თემა სასიამოვნოც გახდა და საგულისხმოც. დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ არა მარტო ქართული კრივის ცალკეულ მიღწევებზე, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფართო ფრონტზე საკავშირო და საერთაშორისო პრიზების დასაკუთრებისათვის. როგორც ხედავთ, დავით კვაჭაძის პირველმა ოქროს მედალმა გამოაცოცხლა ქართული კრივის სამყარო. ჯერჯერობით ისინი სამნი არიან: — ამირან ხიზანიშვილი, დავით კვაჭაძე და მურმან თაქთაქიშვილი, წლევანდელი საკავშირო პირველობის ჩემპიონი და პრიზიორები. მაგრამ, გაიხსენეთ, სამი-ოთხი წლის წინათ ამგვარ წარმატებაზე ოცნებაც კი გვიჭირდა. წლევანდელმა სეზონმა კიდევ უფრო განამტკიცა ქართველ მოკრივეთა პოზიციები.

**არჩილ გოგელია.**



სარედაქციო ფოსტა

## არა, შეცდომა არ არის...

რედაქციამ ამას წინათ მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს ფეხბურთის მოყვარული მ. ჩიხლაძე (თბილისი). იგი გვწერს შემდეგს:

„წლევანდელი სეზონის დასაწყისში, გაზაფხულზე, ვიყიდე ფეხბურთის ცნობარი, სადაც წერია, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატებში ყველაზე მეტი კალენდარული შეხვედრა ჩატარებული აქვს მოსკოვის „დინამოს" — 1045, შემდეგ კიევის „დინამოს" — 1041, თბილისის „დინამოს" — 1036, მოსკოვის „სპარტაკს" — 1011 და ცსკა-ს — 1010.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ფეხბურთში მხოლოდ 2 გუნდია, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული ყველა 41 საკავშირო ჩემპიონატში. ესენია მოსკოვის „დინამო" და კიევის „დინამო". თითო გათამაშებით ნაკლები აქვთ ჩატარებული თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „სპარტაკს", ხოლო ცსკა-მ, თუმცა ეს გუნდის სპორტული მაჩვენებლებით არ იყო გამოწვეული, გამოტოვა ორი გათამაშება. რახან ეს ასეა, ლოგიკურად გამოდის, რომ თამაშების ერთნაირი რაოდენობა უნდა ჰქონდეთ მოსკოვისა და კიევის დინამოელებს, შემდეგ კი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს".

ამიტომ ვფიქრე, რომ ცნობარში ან გაუგებრობაა, ან შეცდომაა დაშვებული, მაგრამ სულ ახლახან „ლელოში" წავიკითხე ერთ-ერთი სტატისტიკოსის წერილი, რომელიც იტყობინება, რომ სულ საბჭოთა კავშირის 41 ჩემპიონატში მოსკოვის დინამოელებს ჩაუტარებიათ 1075 მატჩი, კიეველებს — 1071, თბილისის დინამოელებს — 1066, მოსკოვის სპარტაკელებს — 1041. განსხვავება თბილისისა და „სპარტაკის" გუნდებს შორის გასაგებია. ეს ორი გუნდი სხვადასხვა წლებში არ გამოდიოდა ჩემპიონატებში: თბილისის „დინამო" — 1936 წლის გაზაფხულზე, „სპარტაკი" კი შარშან, ხოლო მონაწილეთა რაოდენობა ამ ორ წელს საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ საიდან აქვთ სხვადასხვა ციფრები მოსკოვისა და კიევის დინამოელებს? ისინი ხომ ყველა ჩემპიონატში უკლებლივ ერთნაირად მონაწილეობდნენ და თამაშების რაოდენობაც თანაბარი უნდა ჰქონდეთ.

ამიხსენით, ხომ არ სცდებიან სტატისტიკოსები?"

• • •

სხვათა შორის, მ. ჩიხლაძე ერთადერთი არაა, რომელიც ამ შეკითხვით მოგვმართავს. ეს სტატისტიკური კაზუსი აინტერესებთ სხვა გულშემატკივრებსაც, ამიტომ განვმარტავთ:

არა, სტატისტიკოსები არ შემცდარან! მოსკოვის „დინამომ" მართლაც ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა სსრ კავშირის ჩემპიონატებში (1075), კიევის „დინამომ" კი ოდნავ ნაკლები (1071).

საქმე ისაა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატები სხვადასხვა წელს განსხვავებული სისტემით ტარდებოდა და იყო შემთხვევები, როცა წინასწარი შეჯიბრების შემდეგ დასკვნითი ჯგუფების შემადგენლობანიც სხვადასხვა რაოდენობით განისაზღვრებოდა. ასე მოხდა 1961 წელს, როცა კიეველები პირველ ათეულში იბრძოდნენ და ჩემპიონებიც გახდნენ, მოსკოველები კი ვერ მოხვდნენ პირველ ათეულში და მათ ჯგუფში გაერთიანდა 12 გუნდი (მოსკოვის „დინამომ" მაშინ საბოლოოდ XI ადგილი დაიკავა). აი, ეს 4 „ზედმეტად" ნათამაშევი მატჩია, მოსკოვის „დინამოს" ყველაზე წინ რომ აყენებს სსრ კავშირის ჩემპიონატებში ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობის მხრივ.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში



ციმბირის ქალაქ ბარნაულში დიდი ყურადღება ექცევა სპორტს. ალტაის მხარის დედაქალაქის მცხოვრებნი მთელი წლის განმავლობაში სიამოვნებით დადიან სპორტის სასახლის ხელოვნურ საციგურაოზე (ქვემოთ); ზემოთ — მოსწავლეებს ი. გრემბალოვასა და ვ. შუმაკოვას უყვართ ციგურები. საკლესის ფოტო.



# არდადეგების დღეებში...

**თბილისის** სპორტულ ბაზებზე მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიება გაიმართება, რომლებშიაც საშუალო სკოლების აღსაზრდელებთან ერთად მათი მშობლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

თბილისის განათლების განყოფილება საქალაქო სპორტკომიტეტთან ერთად **2-დან 11 იანვრამდე** ატარებს შეჯიბრებებს მინი-ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობაში, კრივში, ტყვიის სროლაში, ცურვაში, ბადმინტონში, წყალბურთში, მოეწყობა, აგრეთვე, შმდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება.

დედაქალაქის რაიონების ფიზკულტურული და განათლების ორგანიზაციები არდადეგების დღეებში ჩაატარებენ შემდეგ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს:

ორჯონიკიძის სახელობის რაიონი.

**2-5 იანვარი.** მინი-ფეხბურთი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, IV კვარტალი, „მარაკანას" სტადიონი. დასაწყისი 11 საათზე.

**4-11 იანვარი.** კალათბურთი. 126-ე საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი. დასაწყისი 11 ს.

**7-8 იანვარი.** მაგიდის ჩოგბურთი. 30-ე და 31-ე საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები. დასაწყისი 11 ს.

ლენინის სახელობის რაიონი.

**3-6 იანვარი.** ფრენბურთი. 33-ე და 159-ე საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები. დასაწყისი 10 ს.

**3-5 იანვარი.** ჭადრაკი: მე-11 საშუალო სკოლა. დასაწყისი 10 ს.

ოქტომბრის რაიონი.

**3-4 იანვარი.** ხელბურთი. მე-4, მე-5 და 30-ე საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები. დასაწყისი 13 ს.

**2-5 იანვარი.** მინი-ფეხბურთი. მე-3, მე-20 და 23-ე საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები. დასაწყისი 11 ს.

მასობრივი სპორტული შეჯიბრებები გაიმართება, აგრეთვე, კიროვის სახელობის, საქარხნო და 26 კომისრის სახელობის რაიონებში.



ოლიმპიური დევიზი: სწრაფად, მაღლა, ძლიერად! ჩვენი საუკუნე, ჩვენი ეპოქა... ყველაფერი იცვლება, ყველაფერი უკვე შეიცვალა... ჩვენი, ოლიმპიური ეტლები თანამედროვე ტექნიკაზე გადაიცვალა. მკაცრი სახეები, მოტორი, ბენზინი, საბურავები... საკვირველია, როგორ სწრაფად მიდის დრო! და მაინც, სპორტი ეს არის სპორტი — ადამიანის, კაცობრიობის სიყვარული!

ფოტო ჟურნალიდან „სტადიონი" (ჩეხოსლოვაკია)

# შესანიშნავი სამეული

**თბილისის** 143-ე საშუალო სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი ხიდეშელი) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამ სკოლის მოსწავლეები 1972 წლიდან თბილისის ლენინის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადების უცვლელი ჩემპიონები არიან. რამდენიმე წლის წინ სკოლაში ჩამოყალიბდა მძლეოსნობის, ხელბურთის, ტურიზმისა და აკრობატიკის სექციები, რომლებიც დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ.

წელს ტაშკენტში ჩატარებულ მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მძლეოსნებმა, ხელბურთელებმა და აკრობატებმა. ამათგან განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს აკრობატთა ნაკრები გუნდის წევრებმა, მეათეკლასელებმა ნანა კიკილაშვილმა, მანანა მნათობიშვილმა და მეშვიდეკლასელმა მაია შილაკაძემ, რომლებიც ამჟამად მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის ცენტრალურ სპორტულ სკოლაში მეცადინეობენ ვლადიმერ გურგენიძის ხელმძღვანელობით.

გოგონათა ამ სამეულმა საკავშირო სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს აკრობატთა ნაკრები გუნდის წარმატებაში. ეს მათი პირველი გამარჯვება როდია — შარშან შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატზე გოგონებმა III ადგილი დაიკავეს, წელს კი — პირველი...

გოგონები სწავლაშიც არ ჩამორჩებიან. ისინი ფიქრობენ სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძონ.

**თამუნა დოლიძე.**

* * *

**სურათზე:** გოგონათა სამეული თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე.



## ციგაობა

**ბრატსკში** დამთავრდა ციგაობაში სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები. ვაჟები (ორადგილიანი ციგებით) და ქალები 873-მეტრიან ტრასაზე ასპარეზობდნენ. ქალთა შორის სამი დაშვების ჯამში ლიდერობა ხელთ იგდო ა. მაევსკაიამ, რომელმაც სულ 1 წუთი და 54.23 წამი დახარჯა. მან პირველ დაშვებაში ტრასის რეკორდი გააუმჯობესა — 37,8. მაევსკაიას 21 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ნ. მიტკევიჩი (ორივე — მოსკოვი), ხოლო მსოფლიო ჩემპიონი ვ. ზოზულია (1.55,23) და ა. რიბენა (ორივე — ლატვია) 1.55,32 III და IV ადგილებზე იმყოფებიან.

ვაჟთა შორის ორადგილიანი ციგებით (2 დაშვების ჯამში) ლიდერობენ ვ. იაკუშინი და ვ. შიტოვი (მოსკოვი) — 1.15,83. ისინი 0,03 წამით ასწრებენ. ლატვიელების — დ. ბრიომზესა და ა. კრიკისის დუეტს. III ადგილზე არიან ნ. და ვ. პაპიროვები — 1.16,41.

ერთადგილიანი ციგებით მოასპარეზე ვაჟები 1054-მეტრიან ტრასაზე ეშვებოდნენ. დაწინაურდა დ. ბრიომზე, რომელმაც 3 დაშვებით 2.13,28 დახარჯა. ლიდერს 0,16 წამით ჩამორჩება ვ. იაკუშინი. III ადგილზეა ვ. შიტოვი — 2.13,94.

ეს ასპარეზობა მსოფლიო პირველობის მზადების პროგრამაში შედიოდა, მსოფლიო პირველობა კი ზუსტად ერთი თვის მერე დასავლეთ გერმანიის ქალაქ კენიგზეეში გაიმართება.

### უნგრეთი

XV ტურში ლიდერებმა კვლავ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. „ჰონვედმა" მიიღო „ჩეპელი" — 5:1, „დოჟა-უიპეშტმა" ასევე შინ სძლია „შალგოტარიანს" — 4:1. ამასობაში „ფერენცვაროშმა" სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა „დუნაივაროშთან", ხოლო „დიოშდიერმა" შინ სძლია „პეჩს" — 2:0.

ლიდერთა ოთხეული ასე გამოიყურება: „ჰონვედი" — 23 ქულა, „დოჟა-უიპეშტი" — 22, „ფერენცვაროში" — 21, „დიოშდიერი" — 20.

### რუმინეთი

აქ ძალზე იშვიათად ხდება, რომ დედაქალაქის გუნდებმა სალიდერო სადავეები პროვინციულ კლუბებს დაუთმონ.

ლიდერი — „ბაია" (მარე) სტუმრად დამარცხდა (0:2) „ტარგოვიშტესთან" და II ადგილზე გადავიდა. მასაც 21 ქულა აქვს, როგორც I ადგილზე მყოფ „არჯეშს" (პიტეშტი), მაგრამ ბურთების უარესი სხვაობით. 20 ქულით III ადგილზეა ჩემპიონი — ბუქარესტის „სტეაუა". საერთოდ, სატურნირო ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა: I და XV ადგილებს შორის განსხვავება სულ 6 ქულაა.

### ჰოლანდია

XVI ტურში „აიაქსმა" (ამსტერდამი) მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „აც 67 ალკმაართან" — 2:1. ამასობაში ლიდერმა — „როდამ" (კერკრადე) სტუმრად ქულა დაკარგა — 0:0 „ბრედასთან". ახლა „აიაქსსა" და „როდას" 24-24 ქულა აქვთ, მაგრამ ამსტერდამელები ბურთების უკეთესი სხვაობით I ადგილზე არიან. „ეინდჰოვენმა" ამ ტურში გამოტოვა თამაში და 21 ქულით III ადგილზეა.

### გფრ

XVI ტურის დიდი მოულოდნელობაა ის, რომ „ფორტუნამ" დიუსელდორფში სასტიკი მარცხი აგემა მიუნხენის „ბაიერნს" — 7:1. მეკარე მაიერი უძლური იყო დაეცვა კარი მასპინძლების გაუთავებელი იერიშებისგან, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალოფსი. შარშანდელ ჩემპიონატში „ბაიერნი" აგებდა ხოლმე დიდი ანგარიშით, მაგრამ წლეულს, როცა გუნდი ერთ-ერთი ლიდერია, ასეთი შედეგი სენსაციაა. ლიდერმა „კაიზერსლაუტერნმა" შინ გაიმარჯვა ბრემენის „ვერდერთან" — 4:0.

16 ტურის შემდეგ „კაიზერსლაუტერნს" 25 ქულა აქვს, „ჰამბურგერ შპორტფერაინს" — 21 და 1 გამოტოვებული მატჩი, „შტუტგარტს" 20 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი. „ფორტუნამ", „ბაიერნმა" და „აინტრახტმა" (მაინის ფრანკფურტი) 18-18 ქულა მოაგროვეს.

## ჩემპიონატები, მატჩები, ...

### საბერძნეთი

X ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ათენში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები აეკ-ი და „პანათინაიკოსი". აეკ-მა თამაშის ფრედ დამთავრების შემდეგ (2:2) დაკარგა ლიდერობა. მას ახლა 16 ქულა აქვს. სალონიკის „არისმა" ანგარიშით 4:0 სძლია თავისივე ქალაქის „ირაკლისს", ასევე 16 ქულა მოაგროვა და ბურთების უკეთესი შეფარდებით I ადგილზე გადაინაცვლა. 15-15 ქულა მოაგროვეს პირეოსის კლუბებმა „ეთნიკოსმა" და „ოლიმპიაკოსმა".

### თურქეთი

„ტრაბზონსპორმა" XIV ტურში დაამარცხა „ყონგულადსპორი" — 1:0 და 21 ქულით კვლავ I ადგილზეა. მომდევნო ადგილზე იმყოფება „ფენერბახჩე" (სტამბოლი), რომელმაც სძლია ადანას „დემირსპორს" — 1:0 და 19 ქულა მოაგროვა. ტურში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა სტამბოლის „გალათასარაიმ" (6:1 იზმირის „გიოთეფესთან") და 17 ქულით III ადგილზეა.

### საფრანგეთი

XXIII ტურში ლიდერმა — „სტრასბურგმა" საკუთარ მინდორზე მიიღო „სტად დე რეიმსი", რომელიც ახლა ბოლო, XX ადგილზეა. ამის მიუხედავად, შეხვედრა მძაფრად მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ — 2:2. „სტრასბურგმა" 31 ქულა მოაგროვა და კვლავ ლიდერობს (მას ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს). „სენტ-ეტიენი" სტუმრად ფრეს დასჯერდა „ნანსისთან" — 1:1. „ნანსსა" და „სენტ-ეტიენს" 30-30 ქულა აქვთ.

### გდრ

ბერლინის „დინამოს" კონკურენტი არა ჰყავს. XII ტურში მან ანგარიშით 6:0 მოუგო „ხემის" (ბოელენი) და 23 ქულა მოაგროვა. ერთმანეთს შეხვდნენ II და III ადგილებზე მყოფი გუნდები — „დინამო" (დრეზდენი) და „მაგდებურგი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. „დინამოს" (დრეზდენი) 18 ქულა აქვს, „მაგდებურგს" — 16. 15-15 ქულა მოაგროვეს „კარლ ცაისმა" (იენა) და ლაიფციგის „ლოკომოტივმა".

### ბელგია

ლიდერის — „ბევერენ-ვაასის" მდგომარეობა ძალზე მტკიცეა. XVI ტურში მან იოლად მოუგო „კორტრიიკს" — 5:0 და 23 ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, ლიდერს ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს. „ანტვერპენმა" ფრედ (2:2) ითამაშა თავისივე ქალაქის „ბეერშოტთან" და 16 თამაშიდან 20 ქულა მოაგროვა. დიდი მოულოდნელობა იყო „ანდერლეხტის" დამარცხება (0:4) სტუმრად „ფკ ლიეჟთან". ახლა „ანდერლეხტსა" და „ბრიუგეს" 16 თამაშიდან 19-19 ქულა აქვთ.



# „ხუთი რგოლის ისტორია"

**რომი.** ადგილობრივ კინოთეატრ „კაპრანიკეტაში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებმა ნახეს ოსტატურად გადაღებული კადრები — მოსკოვში ზვიოზდნი ბულვარზე ცამდე ატყორცნილი ფოლადის ისარი, სსრ კავშირის დედაქალაქის ოლიმპიური ახალმშენებლობანი, საბჭოთა ათლეტების გაღიმებული სახეები გამარჯვების შემდეგ და სხვ. პრეს-კონფერენცია მიეძღვნა სსრ კავშირ-იტალიის ერთობლივი კინოფილმის „ხუთი რგოლის ისტორიის" (რეჟისორები რ. მარჩელინი და ი. გეტმანი) გადაღებას. ჟურნალისტებს უჩვენეს სურათის ფრაგმენტები, რომლებშიც ასახულია ოლიმპიური მოძრაობის განვითარება, „ოლიმპიადა-80"-ისთვის მოსკოვის მზადება და ის, თუ როგორ ეხმარება სპორტი ხალხთა დაახლოებას და ხუთი კონტინენტის ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებას.

ფილმის ავტორებს განზრახული აქვთ, აგრეთვე, მოუთხრონ რომის ოლიმპიადიდან მოყოლებული ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენებზე. ბევრ ქვეყანაში უკვე გადაღებულია 20 ათასი მეტრი ფირი.

ახლახან მოსკოვში მყოფმა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფ. კარარომ ფილმის განხილვის შემდეგ საკდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ სამუშაოთა ორგანიზაციამ და გრანდიოზულობამ. კარარო დარწმუნებულია, რომ მოსკოვში ყველაფერი მზად იქნება დანიშნული ვადისთვის.

„ოლიმპიადა — ეს არის მშვიდობის სიმბოლო, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა რ. მარჩელინიმ, — ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა კინოფირის საშუალებით ხალხს მოვუთხრო მოსკოვზე, რომელიც 1980 წელს გახდება მსოფლიოს ახალგაზრდობის დედაქალაქი. ეს კინოფირი არის ისტორია გამოჩენილი სპორტსმენებისა, რომლებიც 4 წელია ემზადებიან „ოლიმპიადა-80"-ისთვის, — თქვა იტალიელმა რეჟისორმა. — ეს ფილმი ეძღვნება მოსკოველებს, რომლებიც ძალიან ბევრს აკეთებენ, რათა თავიანთი დედაქალაქი თამაშებისთვის მოამზადონ". (საკდესი).

**1979 წლის 14 თებერვალს** უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუდაპეშტში შედგება „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს" მესამე ტირაჟი.

ლატარიის წინა ორ გამოშვებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გამოიცნეს სპორტის ხუთი სახეობა, მიიღეს ფულადი მოგებები 6-დან 10000 მანეთის ოდენობით თითოეულმა.

**7 კაცი ოლიმპიური თამაშების საგზურების მფლობელი გახდა. მათ აგრეთვე მიიღეს რიგგარეშე მსუბუქი მანქანა „ჟიგულის" ნაღდ ანგარიშზე შეძენის უფლება.**

ლატარიის პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ ბილეთის მეორე მხარეს.

**მონაწილეობა მიიღეთ საერთაშორისო ოლიმპიურ „სპორტლოტოში".**

გისურვებთ წარმატებას!

„საქსპორტლოტო".

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-55; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-53; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-83-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.